საქართველოს
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 3642/01
12/04/2022

3642-01-2-202204121632

შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“
მის: ქ. ბათუმი, ი. აბაშიძის ქ. N6, ბ 2-3
ელ. ფოსტა: nino.gagua@agl.com.ge

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2022 წლის 29 მარტის N7262 განცხადება, რომელიც ეხება შუახევის მუნიციპალიტეტში, სოფ. ღურტას და სოფ. პაქსაძეების მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. აჭარისწყალზე შუახევის ჰესების კასკადის მშენებლობის პროექტის ფარგლებში, ფუჭი ქანების N23 სანაყაროს ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებას.

სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ, ცხრილში 1.1 საქმიანობის განხორციელების ადგილად მითითებულია შუახევის მუნიციპალიტეტი, ხოლო „დაგეგმილი საქმიანობის მოკლე აღწერის“ თავში აღნიშნულია, რომ №23 სანაყაროს ტერიტორია მდებარეობს ხულოს მუნიციპალიტეტში. ასევე, წარმოდგენილი Shp ფაილების გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ხულოს მუნიციპალიტეტში. შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა საჭიროებს დაზუსტებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების შესაბამისად შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე